



დემოკრატიული მმართველობა
საქართველოში (G3) პროგრამა



საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - საერთაშორისო პრაქტიკა

2014 წელი (სექტემბერი - ოქტომბერი)

წინამდებარე კვლევა შემუშავდა "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) მიერ, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)“ დაფინანსებული პროექტის „საჯარო დაწესებულებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების პრაქტიკის გაუმჯობესება“ ფარგლებში, რომელიც ერთობლივად განახორციელეს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" (GYLA).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) პასუხისმგებელია კვლევის შინაარსზე. კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინსტიტუტს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მიმოხილვა

პროექტის - „საქართველოს საჯარო დაწესებულებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების პრაქტიკის გაუმჯობესება“ - ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მოამზადა სამი ქვეყნის (ავსტრალია, კანადა და იტალია) პრაქტიკის კვლევა, სადაც აღწერილი და გაანალიზებულია მათი საჯარო ინფორმაციის ონლაინ, საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნების გამოცდილება. ზოგადად, პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების ხელშეწყობას ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მართვაში, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას საჯარო ინფორმაციის ეფექტური უზრუნველყოფის მონიტორინგში და ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებისთვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა საჯარო ინსტიტუტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციისთვის სპეციალური განყოფილების დათმობა. საჯარო დანახარჯებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი მონაცემებისა და სტატისტიკის ნახვა აქ ადვილად არის შესაძლებელი. ის შეიცავს მრავალი სახის ინფორმაციას, როგორცაა წლიური ანგარიშები, ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშები, მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, კონტრაქტები, გრანტები და დახმარებები. ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნების კუთხით თითოეული ქვეყნის შესახებ უფრო ყოვლისმომცველი სურათის საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულია კვლევაში ჩართული უცხოური სამთავრობო გვერდების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები.

ავსტრალია

ავსტრალიაში ინფორმაციის გამოქვეყნების გეგმა (Information Publication Scheme – IPS) იმ სამთავრობო დაწესებულებებზე ვრცელდება, რომელთაც ეხებათ ინფორმაციის თავისუფლების აქტი (FOI Act). IPS-ის მიერ განსაზღვრული მონაცემების გარდა, საჯარო დაწესებულებები, როგორც წესი, საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად წყვეტენ დამატებით რა ტიპის ანგარიშები და მაჩვენებლები გამოაქვეყნონ. ზოგადად, ქვეყანაში შემდეგი ტიპის ინფორმაცია ექვემდებარება პროაქტიულ გამოქვეყნებას:

- ინფორმაციის გამოქვეყნების გეგმა;
- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების სტრუქტურის შესახებ;

- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ფუნქციების, შესახებ, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და მასში ჩართული მხარეების შესახებ;
- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ კანონით განსაზღვრული დანიშვნების შესახებ;
- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების წლიური ანგარიშების შესახებ - აღნიშნულ განყოფილებაში ქვეყნდება სხვადასხვა ტიპის ანგარიშები, მათ შორის, წლიური შესრულების ანგარიშები, სტრატეგიული გეგმები, ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ცალკეული პროექტების შეფასებები. გარდა ამისა, ის შეიცავს საჯარო მოხელეების მიერ შექმნილი საქალაქდების სათაურებს;
- დეტალური ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ მოწყობილი საჯარო კონსულტაციების მზადების შესახებ, რომელთა მიზანი გახლდათ ცალკეულ პოლიტიკურ წინადადებებზე საზოგადოების მოსაზრებების მიღება - აქ წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია (პროცედურები, მონაწილეობის წესები, გაგზავნილი შეთავაზებები, საბოლოო ანგარიში) გამართული საჯარო დისკუსიების შესახებ;
- ინფორმაცია, რომელთაც საჯაროდ აწესებულება ხელმისაწვდომს ხდის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების საპასუხოდ - საგულისხმოა, რომ მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად, საჯარო დაწესებულებები სპეციალურ განყოფილებაში “**Disclosure Log**“ აქვეყნებენ ცნობებს საჯარო ინფორმაციის აქტის შესაბამისად გაცემული მონაცემების შესახებ. იგი შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორცაა გაფორმებული ხელშეკრულებების დეტალები, მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, იმ შეხვედრების ჩანაწერები და ძირითადი ცნობები, რომელთაც თანამდებობის პირების ესწრებოდნენ, სხვადასხვა საკითხებზე თანამდებობის პირების ელ-ფოსტის მიმოწერები, საჯარო დაწესებულების მრავალი ტიპის დანახარჯები (მაგალითად, ელექტროენერჯის, საკრედიტო ბარათებით დანახარჯები, მომსახურების დანახარჯები, მობილური ტელეფონის დანახარჯები), აუდიტორული დასკვნები/ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, გრანტები, დახმარებები, კონტრაქტები, საჩუქრები;
- ინფორმაცია, რომელსაც საჯარო დაწესებულება უგზავნის პარლამენტს;
- ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;

- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ (operational information) - იგი გულისხმობს საჯარო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციას გადაწყვეტილებების მიღებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად საჭირო ღონისძიებების და მის ფუნქციებში არსებული ვალდებულებების შესახებ (მაგალითად, წესები, სახელმძღვანელო პრინციპები, პრაქტიკა და პრეცედენტი).

კანადა

კანადაში ყველა ძირითადი საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციისთვის ცალკე განყოფილება არსებობს სახელწოდებით „გამჭვირვალობა“ (“Transparency”). აქ ქვეყნდება შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- ინფორმაცია მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ - მიზნის, თარიღებისა და მივლინების დანიშნულების მითითებით, ასევე, დაკონკრეტებულია ტრანსპორტის ტიპი, დანახარჯები საკვებისა და საცხოვრებლისთვის;
- ინფორმაცია 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტების შესახებ - თითოეულის შემთხვევაში ნაჩვენებია მიმწოდებლის სახელი, კონტრაქტის ნომერი, ვადა, ფასი და მოკლე აღწერა;
- ინფორმაცია პოზიციების რეკლასიფიკაციის (position reclassification) შესახებ - თანამდებობების რეკლასიფიკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და ამავდროულად, ამ მიმართულებით საჯარო დაწესებულების ქმედებების ეფექტურობის შესანარჩუნებლად, სავალდებულოა აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება. ამ შემთხვევაში, ხელმისაწვდომია შემდეგი დეტალები: პოზიციის დასახელება, პოზიციის ნომერი, რეკლასიფიცირებული პოზიცია, რეკლასიფიკაციის გადაწყვეტილების მიზეზი;
- ინფორმაცია 25 000 დოლარზე მეტი ოდენობის გრანტებისა და დახმარებების შესახებ - თითოეული გრანტისა თუ დახმარების შემთხვევაში წარმოდგენილია მიმღების სახელი, ადგილი, თარიღი, ფასი, ტიპი, მიზანი და კომენტარები;
- ინფორმაცია აღმოჩენილი გადაცდომების/დარღვევების (wrongdoing) შესახებ - შეიცავს ინფორმაციას ისეთ შემთხვევებზე, როგორცაა სახელმწიფო

ბიუჯეტის არაკეთილსინდისიერად გამოყენება, არასწორი მენეჯმენტი, ქცევის კოდექსის სერიოზული დარღვევა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ქმედება და ა.შ;

- ინფორმაცია **დაკმაყოფილებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შესახებ** - ნაჩვენებია ყოვლისმომცველი მონაცემები საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის დონის შესახებ, მათ შორის, მიღებული და დაკმაყოფილებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, მოსაკრებელის ოდენობა, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა, საჯარო ინფორმაციის აქტის პირობების შესასრულებლად საჭირო რესურსების მასშტაბები;
- ინფორმაცია **ფინანსური ტიპის ანგარიშების შესახებ** - კვარტალური ფინანსური ანგარიშები, სადაც შეფასებულია საჯარო დაწესებულების მიერ შესრულებული გეგმა, შეჯამებულია ზოგადი დანახარჯები და განხორციელებული პროექტები;
- ინფორმაცია **აუდიტორული დასკვნების შესახებ** - მათში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორცაა აუდიტის მიზნები და მასშტაბი, მეთოდოლოგია, მიგნებები, შეგროვებული და დამუშავებული მონაცემები, რეკომენდაციები, გამოკითხული თანამშრომლების სია, გადახედილი ინფორმაცია, აუდიტის განმახორციელებელი ჯგუფი;
- ინფორმაციის **რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ** - წარმოდგენილია რეკლამასა და კამპანიაზე გაწეული დანახარჯები, დაკონკრეტებულია კამპანიის სახელი, აღწერა, ხანგრძლივობა, დანახარჯი, მიზანი, გამოყენებული მედიის სახეობა და მომსახურების მიმწოდებლის სახელი.

იტალია

მთავრობის 2013 წლის 20 დეკემბრის ბრძანება არეგულირებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნებას. იგი საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს მრავალი სახის ინფორმაციის გამოქვეყნებას, მათ შორის:

- საჯარო **დაწესებულებების ძირითადი სამართლებრივი აქტები** - მაგალითად, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული რეგულაციები, ნორმატიული აქტები, გამჭვირვალობის სამოქმედო გეგმა, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და აქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინფორმაცია **დაწესებულების შესახებ** - მოიცავს დეტალურ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას არამხოლოდ დაწესებულების, არამედ მაღალი თანამდებობის პირების შესახებ (ბიოგრაფია, დანიშვნის შესაბამისი ბრძანება,

ვალდებულებები, მგზავრობის, წარმომადგენლობითი, მივლინებების, კომუნიკაციისა და დამატებითი ხარჯები, დეკლარაციები და ა.შ.);

- ინფორმაცია **საკონსულტაციო მომსახურების შესახებ** - მითითებულია კონსულტანტის სახელი, პოზიცია, ბიოგრაფია, ჩატარებული კონსულტაციის თარიღი და მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ოდენობა;
- ინფორმაცია **თანამდებობის პირების შესახებ** - ხელფასები, მივლინებები და წარმომადგენლობითი ხარჯები, დახმარებები;
- ინფორმაცია **გამოცხადებული ტენდერებისა და კონკურსების შესახებ** - მიმდინარე და დასრულებული ტენდერების შემთხვევაში სამთავრობო ვებ-გვერდებზე მოცემულია ობიექტი, აღწერა, კრიტერიუმები, მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და დანახარჯები. კონკურსებისა და ვაკანსიების შემთხვევაში წარმოდგენილია ინფორმაცია შერჩევის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ (მათ შორის, წარმატებული და უარყოფილი აპლიკანტები და მათი შესაბამისი ქულები);
- ინფორმაცია **საჯარო დაწესებულების ანგარიშების შესახებ** - შეფასებულია საჯარო დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროექტები და პროგრამები;
- ინფორმაცია **საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების/ინსტიტუტების შესახებ** - მოცემულია დასახელებები, ვებ-გვერდები, ბიუჯეტი, პასუხისმგებლობები და ფუნქციონირების მასშტაბები;
- ინფორმაცია **საჯარო დაწესებულების პროცედურებისა და აქტივობების შესახებ** - შეიცავს სამთავრობო დაწესებულებებთან კომუნიკაციისთვის საჭირო ინფორმაციასა და ფორმებს;
- ინფორმაცია **სხვადასხვა პროცედურებთან დაკავშირებული რეგულაციებისა და აქტების შესახებ**;
- ინფორმაცია **გრანტების, დახმარებებისა და ეკონომიკური მოგებების შესახებ** - წარმოდგენილია ბენეფიციარის სახელი, დახმარების/გრანტის ნომერი, მიზანი და ოდენობა;
- ინფორმაცია **ბიუჯეტისა და სხვადასხვა ფინანსური ანგარიშების შესახებ**;
- ინფორმაცია **საკუთრებისა და აქტივების მენეჯმენტის შესახებ** - მოცემულია საკუთრების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ადგილი, გამოყენების სტატუსი);
- ინფორმაცია **საჯარო დაწესებულების შესახებ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ანგარიშების შესახებ**, სადაც შეფასებულია შესრულების ხარისხი, ფინანსური ეფექტურობა;


- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების გადარიცხვების/გადახდილი თანხების შესახებ - ნაჩვენებია საჯარო დაწესებულებების გარადიცხვების პოლიტიკა, წარმოდგენილია ცალკეულ გადარიცხვასთან დაკავშირებული დეტალები (ზედნადები, გადარიცხვის თარიღი და ოდენობა);
- სხვა დამატებითი ინფორმაცია - ისეთი მონაცემები, როგორცაა მაღალი თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები, კორუფციისა და გამჭვირვალობის სახელმძღვანელო პრინციპები.

კანადა	10
ინფორმაცია მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ	11
ინფორმაცია 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტების შესახებ	16
ინფორმაცია პოზიციების რე-კლასიფიკაციის (POSITION RECLASSIFICATION) შესახებ	18
ინფორმაცია 25 000 დოლარზე მეტი ოდენობის გრანტებისა და დახმარებების შესახებ	20
ინფორმაცია აღმოჩენილი გადაცდომების/დარღვევების (WRONGDOING) შესახებ	21
საჯარო ინფორმაციის ანგარიშები	23
ინფორმაცია ფინანსური ანგარიშების შესახებ	31
<i>სახელმწიფო ბიუჯეტი</i>	32
<i>დეპარტამენტების საქმიანობის შეფასება</i>	37
<i>წლიური ფინანსური ანგარიში</i>	38
<i>კვარტალური ფინანსური ანგარიშები</i>	42
<i>გეგმებისა და პრიორიტეტების ანგარიში</i>	44
<i>მდგრადი განვითარების სტრატეგია</i>	48
ინფორმაცია აუდიტორული დასკვნების შესახებ	49
<i>შიდა აუდიტორული ანგარიშები</i>	50
<i>შეფასებები</i>	55
<i>გარე აუდიტორული ანგარიშები</i>	58
ინფორმაციის რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ	61
წინასწარი მარეგულირებელი გეგმა	65
პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ერთიანი ბაზა.....	66
ავსტრალია	67
ინფორმაციის გამოქვეყნების გეგმა.....	68
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების სტრუქტურის შესახებ	69
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ფუნქციების შესახებ	69
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების წლიური ანგარიშის შესახებ	71
სტრატეგიული გეგმა.....	81
პროგრამების შეფასება.....	83
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესახებ	86
საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ჟურნალი (INFORMATION DISCLOSURE LOG)	88
ინფორმაცია, რომელსაც საჯარო დაწესებულება უგზავნის პარლამენტს	103
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ (OPERATIONAL INFORMATION)	104
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.....	105
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიში	110
საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება რეგიონებში	111
იტალია	114
საჯარო დაწესებულებების ძირითადი აქტები	115
ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.....	119
ინფორმაცია საკონსულტაციო მომსახურების შესახებ	125
ინფორმაცია საჯარო მოხელეების შესახებ	129

ინფორმაცია შესყიდვებისა და კონკურსების შესახებ	133
ინფორმაცია საქმიანობის ანგარიშების შესახებ.....	137
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების/ინსტიტუტების შესახებ	140
ინფორმაცია პროცედურებისა და საქმიანობის შესახებ	141
ინფორმაცია სხვადასხვა პროცედურებთან დაკავშირებული რეგულაციებისა და აქტების შესახებ ..	141
ინფორმაცია გაცემული გრანტებისა და დახმარებების შესახებ	143
ინფორმაცია ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშების შესახებ	145
ინფორმაცია საკუთრებისა და აქტივების მენეჯმენტის შესახებ.....	148
ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ.....	150
ინფორმაცია საჯარო დაწესებულების გადარიცხვების შესახებ	151
სხვა დამატებითი ინფორმაცია	153
რეკომენდაციები.....	156
არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება.....	156
ახალი ინიციატივები პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნების პრაქტიკის დასახვეწად	158

კანადა

კანადის ყველა ძირითადი საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციისთვის ცალკე განყოფილება არსებობს სახელწოდებით „გამჭვირვალობა“ (“Transparency”), სადაც თავმოყრილია ყველა ის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც სისტემატურად, გარკვეული სიხშირით ონლაინ ქვეყნდება.



ყველა სახელისუფლებლო ინსტიტუტის შემთხვევაში, აღნიშნულ განყოფილებაში მოცემულია შემდეგი ტიპის ინფორმაცია¹:

- ინფორმაცია მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტების შესახებ;
- ინფორმაცია პოზიციების რე კლასიფიკაციის (position reclassification) შესახებ;
- ინფორმაციის 25 000 დოლარზე მეტი ოდენობის გრანტებისა და დახმარებების შესახებ;
- ინფორმაცია აღმოჩენილი გადაცდომების/დარღვევების (wrongdoing) შესახებ;
- ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების შესახებ;
- ინფორმაცია ფინანსური ანგარიშების შესახებ;
- ინფორმაცია აუდიტორული დასკვნების შესახებ;
- ინფორმაციის რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

გარდა ამისა, მოცემულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მიღებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, რეგულაციები და დირექტივები. ცალკეული საჯარო უწყების შემთხვევაში, ასევე, განთავსებულია მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შეგროვებული ან დამუშავებული საინფორმაციო ბაზები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ანგარიში, მონაცემი თუ პუბლიკაცია, PDF ფორმატთან ერთად, მოცემულია HTML ფორმატში.

¹ <http://www.tbs-sct.gc.ca/tbs-sct/common/trans-eng.asp>

Transparency**Proactive Disclosure**

Disclosure of travel and hospitality expenses

Disclosure of Contracts Over \$10,000

Disclosure of position reclassifications

Disclosure of Grant and Contribution Awards Over \$25,000

Disclosure of information on founded wrongdoing

Access to Information and Privacy

Access to Information and Privacy (ATIP)

Completed Access to Information Requests

Privacy Impact Assessment Summaries

Open Dialogue

Acts and Regulations

Cross-Cultural Roundtable on Security

Transparency

The Government of Canada has implemented a series of measures to strengthen public sector management by enhancing transparency and oversight of public resources in the federal government.

One of these measures includes the proactive disclosure of financial and human resources related information by departments and agencies. By making this information readily available on departmental web sites, Canadians and Parliament are better able to hold the Government and public sector officials to account.

Proactive Disclosure

- [Disclosure of travel and hospitality expenses](#)
- [Disclosure of Contracts Over \\$10,000](#)
- [Disclosure of position reclassifications](#)
- [Disclosure of Grant and Contribution Awards Over \\$25,000](#)
- [Disclosure of information on founded wrongdoing](#)

Access to Information and Privacy

- [Info Source](#)
- [Access to Information and Privacy \(ATIP\)](#)
- [Completed Access to Information Requests](#)
- [Privacy Impact Assessment Summaries](#)

Open Dialogue

- [Acts and Regulations](#)
- [Cross-Cultural Roundtable on Security](#)

Open Data

The [Canadian Disaster Database](#) is a publically accessible web-based repository of historical information about natural and made-made disasters that have taken place since 1900 in Canada or abroad that have directly affected Canadians. The database contains information on over 1000 events and can be used to support research, academic activities and decision-making across a breadth of fields including earth sciences, agriculture, climate change, biology and epidemiology, land use planning, insurance, investment, and the anthropological and sociological aspects of community resilience, among many others.

The [Open Data Portal](#) offers Government data in a more useful format to enable citizens, the private sector and non-government organizations to leverage the data in innovative and value-added ways.

Open Government

Learn more about [Canada's Action Plan on Open Government](#) by visiting the [Open Government website](#). To find out about upcoming consultations, visit the [Consulting Canadians website](#) and the [Canada Gazette](#).

ინფორმაცია მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ

2003 წლის 12 დეკემბრიდან კანადის პრემიერ-მინისტრმა საფუძველი დაუდო თანამდებობის პირების (მინისტრები და მათი მოადგილეები, პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სხვა მაღალი რანგის საჯარო მოხელეები, მათ შორის თანაშემწეები და მრჩეველები) მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების პოლიტიკას. შესაბამისი დაწესებულებები ვალდებული არიან აღნიშნული ტიპის ინფორმაცია საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განაახლონ სამ თვეში ერთხელ.

თითოეული საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, მივლინებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების განყოფილებაში ჩამოთვლილია თანამდებობის პირების სახელები და თითოეულ მათგანზე შესაძლებელია დეტალური ხარჯთაღრიცხვის ნახვა. კერძოდ, მოცემულია თანამდებობის პირის:

- სახელი და გვარი;
- თანამდებობა;
- მივლინების პერიოდი;
- მივლინების კონკრეტული მიზანი;
- მივლინების ადგილი;
- თვითმფრინავის ბილეთის ფასი;
- სხვა სატრანსპორტო ხარჯები;
- საცხოვრებელი ხარჯები;
- საკვების ხარჯები;
- სხვა ხარჯები.

Lamarre, André, Director of Communications, President's Office - Travel Expense

Purpose:	Travelled with the Minister.
Date(s):	2004-03-14 to 2004-03-19
Destination(s):	Vancouver, Edmonton, Calgary, Regina
* Air Fare:	\$2,501.62
Other Transportation:	\$235.20
Accommodation:	\$1,084.04
Meals and incidentals:	\$200.65
Other:	\$63.50
Total:	\$4,085.01
* Charges for travel on aircraft owned and operated by the Government of Canada are indicated when levied.	

წარმომადგენლობითი ხარჯების შემთხვევაში მოცემულია თანამდებობის პირის:

- სახელი და გვარი;
- თანამდებობა;
- შეხვედრის/ლონისძიების დანიშნულება;
- შეხვედრის/ლონისძიების თარიღი;
- შეხვედრის/ლონისძიების ადგილი;
- გამართულ შეხვედრაზე მყოფი თანამშრომლების რაოდენობა;
- სტუმრის მიღების საერთო ხარჯი.

Alcock, Reg, President of the Treasury Board - Hospitality Expense

Event Description:	Lunch meeting with departmental staff
Date(s):	2005-12-06
Attendees: (Employees/Guests)	(2)/(0)
Location:	President's Office, 556 Confederation Building, Ottawa, ON
Total:	\$11.85

Travel and hospitality expenses reports

Hospitality Expense

For:	Wilson, Gina, Assistant Deputy Minister, Emergency Management and Regional Operations
Event Description:	Refreshments for participants at Emergency Management and Regional Operations All Staff Meeting
Date(s):	2013-06-13
Attendee(s):	150 Gov't employees
Location:	Government Conference Centre - 111 Sussex Dr.
Total:	\$500.03

საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ თანამდებობის პირს მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები გაწეული არ აქვს, მათი სახელი, გვარი და პოზიცია ჩამონათვალში მაინც არსებობს. ამგვარად, დაინტერესებულ პირს შეუძლია თანამდებობის პირის სახელის მეშვეობით გადაამოწმოს, მასზე რაიმე ტიპის ხარჯი გაიცა თუ არა.

Minister, Parliamentary Secretary and their exempt staff

* No expenses reported to date

- [Bedi, Rahul, Policy advisor](#)
- [Brent, Lauren, Special assistant](#)
- [Brodie, Neil, Director of Policy](#)
- [Clement, Tony, President of the Treasury Board](#)
- [Conway, Matthew, Press Secretary](#)
- [Domerecky, Heather, Press Secretary](#)
- [Faintuch, Ashley, Special Assistant](#)
- [Hicksman, Gregory, Special assistant](#)
- [Jerry, Todd, Senior Special Assistant](#)
- [Lavergne, France, Assistant to the Parliamentary Secretary](#)
- [Mandel-Campbell, Andrea, Director of Communications](#)
- [Office of the, President, Other expenses](#)
- * [Ostash, Drew, Special Assistant](#)
- [Rea, Stephanie, Director of Communications](#)
- * [Scheewe, Aaron, Director of Parliamentary Affairs and Issues Management](#)
- [Seal, Aron, Director of Policy](#)
- * [Seccareccia, Michael, Special assistant](#)
- [Smith, Bryan, Policy Advisor](#)
- [Sousa, David, Driver](#)
- [Young, Beverly, Special Assistant - Policy](#)

გარდა ამისა, თუ კონკრეტულმა საჯარო მოხელემ მხოლოდ ერთი ტიპის ხარჯი გაწია (წარმომადგენლობითი ხარჯი ან მივლინება), მის განყოფილებაში მითითებულია ხსენებული ორი ტიპის ხარჯიდან, კონკრეტულად რომელი იქნა გაწეული.

Travel and hospitality expenses - June 2 to September 1, 2011

Bertrand, Jeffrey, Minister's Chauffeur

Travel Expenses
June 2 to September 1, 2011

Date(s)	Purpose	Total Cost
18-19 July, 2011	Provide transportation for Minister Toews to Montréal	\$333.60
* Total:		\$333.60

Hospitality Expenses
June 2 to September 1, 2011

No hospitality expenses to report

* Total includes all applicable taxes

საგულისხმოა, რომ კვარტალურად გამოქვეყნებული მონაცემების გარდა, საჯარო დაწესებულებები აქვეყნებენ მივლინებების, წარმომადგენლობითი და სხვადასხვა კონფერენციებზე გაწეული ხარჯების წლიურ მონაცემებს, სადაც ყველა ტიპის ინფორმაცია შედარებულია წინა წლის მსგავს მაჩვენებლებთან. შედეგად, შეჯამებულია რა ოდენობის თანხა დაიხარჯა და ასევე, დაიზოგა გასულ საანგარიშო

წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები ჩაშლილია შემდეგი სახის ინფორმაციის მიხედვით:

- საჯარო მოხელეების მივლინებები;
- არა საჯარო მოხელეების მივლინებები;
- მინისტრისა და მისი აპარატის წევრების მივლინებები;
- მივლინებებზე გაწეული ხარჯის საერთო რაოდენობა;
- წარმომადგენლობითი ხარჯები;
- კონფერენციების ხარჯები.

Total annual expenditures for Travel, Hospitality and Conferences of the Treasury Board Secretariat are summarized below:
(in thousands of dollars)

Expenditure Category	Expenditures for the year ending March 31, 2012 (a)	Expenditures for the year ending March 31, 2013 (b)	Variance (a-b)
Travel – Public Servants	2,233	1,922	-311
Travel – Non-Public Servants	110	100	-10
International Travel by Minister and Minister's Staff*	25	14	-11
Total Travel	2,368	2,036	-332
Hospitality	202	105	-97
Conference Fees	12	6	-6
Total	2,582	2,147	-435
* Includes international travel that is part of the department's program			

ინფორმაცია 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტების შესახებ

2004 წლის 23 მარტს კანადის მთავრობამ სავალდებულო გახადა 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტების გასაჯაროება. შედეგად, ამ ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება სამთავრობო დაწესებულებებმა 2004 წლის 31 ოქტომბრიდან დაიწყეს. მონაცემები ახლდება კვარტალურად. ამას გარდა, 2008 წლის 19 ივნისიდან პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ დოკუმენტებს დაემატა კონტრაქტების ცვლილებები, რომელთა ფასი 10 000 დოლარს აღემატება.

Disclosure of contracts over \$10,000

Please select a report:

2014-2015

- [1st Quarter](#)

2013-2014

- [4th Quarter](#)
- [3rd Quarter](#)
- [2nd Quarter](#)
- [1st Quarter](#)

2012-2013

- [4th Quarter](#)
- [3rd Quarter](#)
- [2nd Quarter](#)
- [1st Quarter](#)

თითოეული კონტრაქტის შემთხვევაში მოცემულია შედეგი ტიპის ინფორმაცია:

- თარიღი;

- კონტრაქტორი/კომპანია;
- მიღებული მომსახურება/შესყიდული პროდუქტი;
- ფასი.

Disclosure of contracts over \$10,000

Please select the vendor name for contract details.

Show entries

Filter items:

Date ▲	Vendor Name ▲	Description ⇅	Value ⇅
2013-01-01	GROUPE INTERSOL GROUP: MARC VALOIS	Management Consultants (non-government)	\$24,860.00
2013-01-02	CORRECTIONAL SERVICES CANADA	Office Furniture and Furnishings, Including Parts	\$24,722.00
2013-01-02	ITEX INC.	Computer Equipment Parts	\$11,978.00
2013-01-02	LANSDOWNE TECHNOLOGIES INC.	Management Consultants (non-government)	\$57,545.25
2013-01-03	ECOLE DE LANGUES LA CITE INC.	Contracting for Language Training	\$33,134.53
2013-01-03	RED SASH INC.	Paper and Photocopy supplies (Green)	\$18,786.25
2013-01-04	CARLETON UNIVERSITY	Tuition Fees and Costs of Attending Courses (not elsewhere specified)	\$10,452.50

გარდა ამისა, მოცემულია კონტრაქტის სხვა დეტალებიც:

- კონტრაქტის ნომერი;
- გაწეული მომსახურების მცირე აღწერა;
- მომსახურების გაწევის/პროდუქტის ჩაბარების ზუსტი თარიღი;
- დამატებითი კომენტარები და დეტალები კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით.

Contract	Details
Vendor Name:	ITEX INC.
Reference Number:	7183939
Contract Date:	2013-01-02
Description of Work:	1229 Computer Equipment Parts
Contract Period:	
Delivery Date:	2013-03-31
Contract Value:	\$11,978.00
Comments:	Photocopy equipment This contract was awarded using a PWGSC procurement tool.

ინფორმაცია პოზიციების რე-კლასიფიკაციის (POSITION RECLASSIFICATION) შესახებ

2004 წლის 25 თებერვლიდან მთავრობამ სავალდებულო გახადა ქვეყნის საჯარო სამსახურში თანამდებობის რე-კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება. თითოეული საჯარო დაწესებულება დეპარტამენტების მიხედვით კვარტალურად აქვეყნებს აღნიშნულ ინფორმაციას. პოზიციათა ცვლილება რამდენიმე მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს:

- დეპარტამენტის/პროგრამის მანდატის/ფუნქციების ცვლილების შედეგად;
- გარე ფაქტორებით გამოწვეული რეორგანიზაციის გამო, რასაც არსებული რესურსების გაზრდა ან შემცირება მოჰყვება;
- რეორგანიზაციის გამო, რაც ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტური და უკეთესი მართვის მიზნით განხორციელდა (მაგალითად, ტექნოლოგიური ინოვაციები, მოხელეთა კომპეტენციების ცვლილება და ა.შ.);
- პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, ხელმძღვანელების მიერ სამუშაოს გადანაწილების შედეგად;
- საჩივრების / განცხადებების შედეგების საფუძველზე.

კანადის სამთავრობო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ამ შემთხვევაში გამოქვეყნებულია:

- პოზიციის/თანამდებობის დასახელება;
- პოზიციის/თანამდებობის ნომერი;
- წინა პოზიცია/თანამდებობა;
- გადანაწილების შემდგომი პოზიცია/თანამდებობა;
- გადაწყვეტილების საფუძველი.

GT - General Technical

Position Title: CONSTRUCTION ENGINEERING SERVICES COORDINATOR

Position Number: 0000159879

Previous Position Classification: GT 03

Previous Supervisory Differential:

Reclassified Position Classification: GT 02

Reclassified Supervisory Differential:

Job Number: 0000058367

Reason for Classification Decision: Grievance

[Back to Top](#)

UT - University teaching

Position Title: ASSISTANT PROFESSOR

Position Number: 0000162529

Previous Position Classification: UT 03

Previous Supervisory Differential:

Reclassified Position Classification: UT 02

Reclassified Supervisory Differential:

Job Number: 0000019146

Reason for Classification Decision: Change of duties

ინფორმაცია 25 000 დოლარზე მეტი ოდენობის გრანტებისა და დახმარებების შესახებ

მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მის მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით კანადის მთავრობამ 2005 წლის 21 ოქტომბერს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როცა საჯარო დაწესებულებები დაავალდებულა სამ თვეში ერთხელ ონლაინ განეთავსებინათ ინფორმაცია 25 000 დოლარზე მეტი ღირებულების გრანტებისა და დახმარებების შესახებ. მთავრობის დადგენილების შესრულება სამთავრობო უწყებებმა 2006 წლის 31 მაისიდან დაიწყო.

Disclosure of grants and contributions over \$25,000

Please select the Recipient name for details.

Show 10 entries

Filter items:

Recipient name ▲	Location ▲	Date ♯	Value ♯
Académie Yéchiya Yavné	Cote St-Luc, Quebec	2014-04-02	\$39,001.00
Association des services de réhabilitation sociale du Québec	Montréal, (Québec)	2014-04-01	\$326,121.00
Blood Tribe Police Service	Standoff, Alberta	2014-04-25	\$2,843,100.00
Bryony House	Halifax, Nova Scotia	2014-05-01	\$3,433,011.00
Canadian Association of Chiefs of Police	Ottawa, Ontario	2014-04-01	\$112,455.00
Canadian Association of Elizabeth Fry Societies	Ottawa, Ontario	2014-04-01	\$1,355,421.00
Canadian Criminal Justice Association	Ottawa, Ontario	2014-04-01	\$439,784.00
Canadian Families and Corrections Network	Kingston, Ontario	2014-04-01	\$105,000.00
Canadian Training Institute	Toronto, Ontario	2014-04-01	\$328,416.00

ამ კატეგორიის ინფორმაციის შემთხვევაში თითოეული საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე ცალკეული გრანტის თუ დახმარების შემთხვევაში განთავსებულია შემდეგი დეტალები:

- გრანტის/დახმარების მიმღების სახელწოდება;
- გრანტის/დახმარების გაცემის ადგილი;
- გრანტის/დახმარების გაცემის თარიღი;
- გაცემული გრანტის/დახმარების ოდენობა.

Disclosure of grants and contributions over \$25,000

Grant/ Contribution	Details
Recipient name :	Bigstone Cree Nation
Location :	Desmarais, Alberta
Date :	2012-01-12
Value :	\$157,092.00
Type :	Contribution
Purpose :	The purpose of amendment # 3 to the agreement is to extend it by one year and to provide extra funding, in the amount of \$26,182 for fiscal year 2012-13 in order to provide for the continuation of the band constable program.
Comments :	Reported in 4th quarter of 2007/08 - \$52,364. Amendment # 1 increase of \$52,364 for a revised total of \$104,728. Amendment # 2 increase of \$26,182 for a revised total of \$130,910. Amendment # 3 increase of \$26,182 for a revised total of \$157,092. Multi-Year: 2007/2008 to 2012/2013.

გარდა ამისა, თითოეული გრანტის შემთხვევაში მოცემულია მისი გაცემის კონკრეტული მიზეზი. კომენტარის სახით თითოეულ მათგანს დართული აქვს დამატებითი განმარტებები და შენიშვნები.

ინფორმაცია აღმოჩენილი გადაცდომების/დარღვევების (WRONGDOING) შესახებ

საჯარო სამსახურის გაუმჯობესების მიზნით, კანადაში წახალისებულია საჯარო მოხელეების მიერ აღმოჩენილი დარღვევების/გადაცდომების (მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის არაკეთილსინდისიერად გამოყენება, არასწორი მენეჯმენტი, ქცევის კოდექსის სერიოზული დარღვევა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ქმედება) გაცხადება, რასაც, როგორც წესი, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება ხოლმე. თითოეული საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე წელიწადში ოთხჯერ იდება განახლებული ინფორმაცია მსგავსი ფაქტების აღმოჩენის, შესაბამისი უწყების მიერ გატარებული ღონისძიებისა და მისი შედეგების შესახებ.

ამ კუთხით, საინტერესო მაგალითია მოცემული კანადის ეროვნული რესურსების სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე. კერძოდ, სამინისტროს თანამშრომელმა განაცხადა ერთ-ერთი ზემდგომი საჯარო მოხელის მიერ პირადი ნაცნობის აყვანის შესახებ. გამოძიების შედეგად ფაქტი დადასტურდა, თანაც განცხადების ადრესატმა ფაქტი აღიარა. ამის გამო მას დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა და ამჟამად იგი კანადის საჯარო სამსახურში აღარ მუშაობს.

Reported Case for 2011-2012, 1st Quarter

Natural Resources Canada

Reported Case for 2011-2012, 1st Quarter

Disclosures were received under the Public Servants Disclosure Protection Act in which it was alleged that a Natural Resources Canada (NRCan) Executive used his influence with his subordinates to hire a non-public servant with whom he had a personal relationship. During the investigation, the Executive admitted the actions and it was determined that the allegations were founded. As a result of this founded disclosure, disciplinary action was taken. The Executive is no longer employed in the Public Service of Canada.

NRCan promotes PSC staffing values as a key component of required training for staffing sub-delegation.

NRCan holds engagement sessions with our Managers' Community.

Additionally, as part of ongoing awareness and staff engagement, the duty of NRCan managers to avoid personal favouritism in the hiring process will be a component of the NRCan Values and Ethics Code, which will follow the Treasury Board Values and Ethics Code anticipated to be released in the fall of 2011.


ამგვარი ფაქტების გამოქვეყნება, ერთი მხრივ, ხელისუფლების ქმედებებს უფრო გამჭვირვალეს ხდის. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს თვალი მიადევნონ ამ მიმართულებით საჯარო დაწესებულებების პოლიტიკის ეფექტურობასა და სამართლიანობას.

საჯარო ინფორმაციის ანგარიშები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განყოფილებაში განთავსებულია ამ საკითხზე მიღებული რეგულაციები და სხვა საკანონმდებლო აქტები.

Access to Information Act (R.S.C., 1985, c. A-1)

Full Document: [HTML](#) | [XML](#) [250 KB] | [PDF](#) [354 KB]

 Act current to 2014-09-15 and last amended on 2014-07-01. [Previous Versions](#)

Notes :

- See coming into force provision and notes, where applicable.
- Shaded provisions are not in force. [Help](#)

Search within this Act:

Search

Table of Contents

- [Access to Information Act](#)
 - 1 - [SHORT TITLE](#)
 - 2 - [PURPOSE OF ACT](#)
 - 3 - [INTERPRETATION](#)
 - 3.2 - [DESIGNATION](#)
 - 4 - [ACCESS TO GOVERNMENT RECORDS](#)
 - 4 - [Right of Access](#)
 - 5 - [Information about Government Institutions](#)
 - 6 - [Requests for Access](#)
 - 12 - [Access](#)
 - 13 - [EXEMPTIONS](#)
 - 13 - [Responsibilities of Government](#)
 - 19 - [Personal Information](#)
 - 20 - [Third Party Information](#)
 - 21 - [Operations of Government](#)
 - 24 - [Statutory Prohibitions](#)
 - 26 - [Refusal of Access](#)

აქვე ვხვდებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ ანგარიშებს სადაც შეჯამებულია საჯარო ინფორმაციის საკითხები ცალკეული წლების შემთხვევაში. კონკრეტულად, ანგარიშებში განხილულია შემდეგი გარემოებები:

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანო და მისი უფლებამოსილებები;
- წლის მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები;
- რეკომენდაციები საჯარო ინფორმაციის კომისიონერისთვის;
- საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ახალი/განახლებული პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები;
- გამოწვევები;
- საჩივრები.

Annual Report to Parliament on the Administration of the Access to Information Act 2011-2012

Table of Contents
<ul style="list-style-type: none"> • Chapter 1 - Report on the Access to Information Act <ul style="list-style-type: none"> • About Public Safety Canada • About the Public Safety Portfolio • About the Access to Information Act • The Access to Information and Privacy (ATIP) Unit • Delegation of Authority • Highlights and Accomplishments for 2011-2012 • Recommendations from the 2010-11 Report of the Information Commissioner • New/Revised Policies/Guidelines or Procedures • Challenges • Key Issues Raised as a Result of Complaints/Investigations • Appeals to the Court • Chapter II - Access to Information Act Statistical Report <ul style="list-style-type: none"> • Overall Workload Trends • Requests Received under the Access to Information Act • Source of Requests • Extensions • Appendix A - Delegation of Authority for the Access to Information Act • Appendix B - Statistical Report for 2011-2012 on the Access to Information Act

ანგარიშებში გაანალიზებულია სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულ უწყებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილების შესახებ, კერძოდ:

- წლების მიხედვით შედარებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა რაოდენობა;
- წლების მიხედვით შედარებულია სხვა დაწესებულებებთან ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა.

	2007-2008	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012
ATI requests received by Public Safety Canada	296	235	208	298	363
Privacy requests received by Public Safety Canada	17	12	37	32	55
ATI consultations received from other institutions	175	198	136	223	235
Privacy consultations received from other institutions	7	10	18	9	21
Total workload	495	455	399	562	674

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ანგარიში შეიცავს დეტალურ სტატისტიკას საჯარო დაწესებულების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე რეაგირების შესახებ. შესაბამისად, დაანგარიშებულია:

- საანგარიშო პერიოდში მიღებული წერილების რაოდენობა;
- წინა საანგარიშო პერიოდიდან გადმოსული წერილების რაოდენობა;
- საანგარიშო პერიოდში გაცემული პასუხების რაოდენობა;
- შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის გადასული წერილების რაოდენობა.

ამას გარდა, მოცემულია საზოგადოების რა კატეგორიის ჯგუფები (მედია, კერძო სექტორი, აკადემიური წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ) ითხოვდნენ ინფორმაციას, მათგან შესული წერილების ზუსტი რაოდენობის მითითებით.²

² http://www.publicsafety.gc.ca/cnt/rsrscs/pblctns/nnl-rprt-ccss-nfrmtn-2011-12/index-eng.aspx#_Toc326844480

	Number of Requests
Received during reporting period	363
Outstanding from previous reporting period	55
Total	418
Closed during reporting period	339
Carried over to next reporting period	79

1.2 Sources of requests

Source	Number of Requests
Media	170
Academia	14
Business (Private Sector)	6
Organization	55
Public	118
Total	363

ანგარიშში, ასევე, შეჯამებულია დაწესებულების პასუხები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებზე (სრულად დაკმაყოფილებული, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული, გადამისამართებული, მონაცემების არ არსებობის შემთხვევები და ა.შ.). თითოეულის შემთხვევაში მოცემულია ინფორმაციის გაცემის ვადები.

Part 2 - Requests closed during the reporting period

2.1 Disposition and completion time

Disposition of requests	Completion Time							Total
	1 to 15 days	16 to 30 days	31 to 60 days	61 to 120 days	121 to 180 days	181 to 365 days	More than 365 days	
All disclosed	27	28	5	0	1	0	0	61
Disclosed in part	11	34	21	39	14	19	4	142
All exempted	0	1	0	0	0	0	0	1
All excluded	0	1	1	1	0	2	0	5
No records exist	64	16	1	0	0	0	0	81
Request transferred	8	0	0	0	0	0	0	8
Request abandoned	21	6	0	0	3	2	0	32
Treated informally	9	0	0	0	0	0	0	9
Total	140	86	28	40	18	23	4	339

ამავე დოკუმენტში ცალკე ცხრილია მოცემული საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლიდან მიღებული თანხების შესახებ. ინფორმაცია კლასიფიცირებულია გადასახადის სახეობის მიხედვით. თითოეული მათგანის შემთხვევაში მოცემულია მოთხოვნათა ოდენობა და მოცულობა. გარდა შეგროვებული მოსაკრებლისა, მოცემულია ინფორმაციის მომთხოვნი რამდენ შემთხვევაში გათავისუფლდა გადასახადისგან.

Part 4 - Fees

Fee Type	Fee Collected		Fee Waived or Refunded	
	# of Requests	Amount	# of Requests	Amount
Application	306	\$1,530	33	\$165
Search	2	\$608	0	\$0
Production	0	\$0	0	\$0
Programming	0	\$0	0	\$0
Preparation	0	\$0	0	\$0
Alternative format	0	\$0	58	\$116
Reproduction	0	\$0	111	\$790
Total	308	\$2,138	202	\$1,071

გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას რა რესურსი მოახმარა კონკრეტულმა საჯარო უწყებამ:

- ხელფასები;
- საქონელი და მომსახურება;
- დადებული კონტრაქტების ღირებულება.

Part 7 - Resources related to the Access to Information Act

7.1 Costs

Expenditures		Amount
Salaries		\$598,900
Overtime		\$0
Goods and Services		\$29,302
• Professional services contracts	\$0	
• Other	\$29,302	
Total		\$628,202

დაკონკრეტებულია რამდენი თანამშრომელი მუშაობდა საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფაზე, მათი სამუშაო განაკვეთის დაზუსტებით:

7.2 Human Resources

Resources	Dedicated full-time to ATI activities	Dedicated part-time to ATI activities	Total
Full-time employees	8	1	9
Part-time and casual employees	0	0	0
Regional staff	0	0	0
Consultants and agency personnel	0	0	0
Students	0	0	0
Total	8	1	9

ანგარიშში მოცემულია დეტალური ინფორმაცია თუ რამდენი კონსულტაცია განხორციელდა სხვა დაწესებულებებთან, იმისთვის რომ დაეკმაყოფილებინათ მოქალაქეთა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები. ჩატარებული კონსულტაციების

რაოდენობასთან ერთად, მოცემულია დამუშავებული გვერდების ოდენობა და კონსულტაციების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შინაარსი (მთლიანად გაცემა, ნაწილობრივ გაცემა, სხვა დაწესებულებასთან დამატებითი კონსულტაცია და ა.შ).

Consultations	Other government institutions	Number of pages to review	Other organizations	Number of pages to review
Received during reporting period	234	5551	1	20
Outstanding from the previous reporting period	10	347	0	0
Total	244	5898	1	20
Closed during the reporting period	238	5260	1	20
Pending at the end of the reporting period	6	638	0	0

5.2 Recommendations and completion time for consultations received from other government institutions

Recommendation	Number of days required to complete consultation requests							Total
	1 to 15 days	16 to 30 days	31 to 60 days	61 to 120 days	121 to 180 days	181 to 365 days	than 365 days	
Disclose entirely	115	18	0	1	0	0	0	134
Disclose in part	60	27	2	0	0	0	0	89
Exempt entirely	2	0	0	0	0	0	0	2
Exclude entirely	1	0	0	0	0	0	0	1
Consult other institution	12	0	0	0	0	0	0	12
Other	0	0	0	0	0	0	0	0
Total	190	45	2	1	0	0	0	238

ზოგადი სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვის გარდა, სამთავრობო ინსტიტუტების ვებ-გვერდებზე თვეების მიხედვით, საჯარო ინფორმაციის ცალკეული მოთხოვნის შემთხვევაში გამოქვეყნებულია შემდეგი ტიპის დეტალები:

- მოთხოვნის ნომერი;
- მოთხოვნის საგანი და მცირე აღწერა;
- საჯარო დაწესებულების პასუხი/რეაგირება;
- გაცემული ინფორმაციის გვერდების რაოდენობა.

A-2014-00084	Document describing the escape of detainees at St. Jerome Detention Centre and communication with Stéphane Bergeron (March to June 19, 2014)	Disclosed in part	67
A-2014-00094	Cyber alert 14-004 issued to DND by the Cyber Incident Response Centre (from June 1-23, 2014)	Disclosed in part	23
A-2014-00105	Deliverables for the Aboriginal Community Safety Development Contribution Program	All disclosed	54
A-2014-00120	Request for five briefing notes DEP-403030, 402661, 402901, 403334, 401897	Disclosed in part	50
A-2014-00124	Contracts awarded to SNC Lavalin Group Inc and/or any of its subsidiaries (2004 to July 18, 2014)	All disclosed	15
A-2014-00135	Chinese Ambassador, Luo Zhaohui's comments on the cyber/hack on the National Research Council (July 28 to August 8, 2014)	No records exist	0

ამგვარი ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის შესაძლებელს ხდის შეაფასოს ხელისუფლების პოლიტიკა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია ფინანსური ანგარიშების შესახებ

კანადის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტები პროაქტიულად ქვეყნდება. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ინტერნეტ რესურსი, სადაც შემდეგი ტიპის წლიურ ანგარიშებს ნახავთ:

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- პარლამენტისადმი წარდგენილი წლიური ანგარიშები;
- ვალის მენეჯმენტის/მართვის ანგარიში;
- ვალის მენეჯმენტის/მართვის სტრატეგია;
- დეპარტამენტების საქმიანობის შეფასება;
- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ფისკალურ მონაცემთა ცხრილები;
- კანადის საერთაშორისო რეზერვების განკარგვის ანგარიში;
- გეგმებისა და პრიორიტეტების ანგარიში;
- მდგრადი განვითარების სტრატეგია;
- გადასახადების ანგარიში;

ამავდროულად, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შემდეგი კვარტალური და ყოველთვიური ანგარიშები:

- ფისკალური მონიტორინგი;
- ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- კვარტალური ფინანსური ანგარიშები.

All Publications and Reports

Annual

- [Annual Financial Report](#)
- [Annual Reports to Parliament](#)
 - [Access to Information Act](#)
 - [Administration of the Privacy Act](#)
- [Canada at the IMF and World Bank](#)
- [Canada at the European Bank for Reconstruction and Development](#)
- [Debt Management Report](#)
- [Debt Management Strategy](#)
- [Departmental Performance Report](#)
- [Federal Budget](#)
 - [Economic and Fiscal Projections](#)
- [Fiscal Reference Tables](#)
- [Report on the Management of Canada's Official International Reserves](#)
- [Report on Plans and Priorities](#)
- [Strategic Environmental Assessments](#)
- [Sustainable Development Strategy](#)
- [Tax Expenditure Reports](#)

Monthly and Quarterly

- [Completed Access to Information Requests](#)
- [Contracts over \\$10,000](#)
- [Disclosure of Information on Founded Wrongdoing](#)
- [Fiscal Monitor](#)
- [Grant and Contribution Awards over \\$25,000](#)
- [Official International Reserves](#)
- [Position Reclassification](#)
- [Quarterly Financial Reports](#)
- [Travel and Hospitality Expenses](#)

Occasional

- [Audits and Evaluations](#)
- [Info Source](#)
- [Privacy Impact Assessments](#)
- [Private Sector Economic Forecasts](#)

სახელმწიფო ბიუჯეტი

კანადაში სახელმწიფო ბიუჯეტისთვის შექმნილია სპეციალური ვებ-გვერდი, რომელსაც ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო კურირებს. აღნიშნულ ონლაინ რესურსზე განთავსებულია ბიუჯეტის გეგმა ცალკეული წლებისთვის.

ყოველი წლის დაგეგმილ ბიუჯეტში შემდეგი ძირითადი საკითხებია მოცემული:³

- ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები;
- სამუშაოების შექმნა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა: ეს ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, სადაც დაკონკრეტებულია ქვეყნის სტრატეგია სექტორებისა და მოქალაქეთა სეგმენტების მიხედვით;
- საბიუჯეტო ბალანსი და მოსალოდნელი საბიუჯეტო დანაზოგი;

³ <http://www.budget.gc.ca/2013/doc/plan/budget2013-eng.pdf>

Savings Measures Since Budget 2010

millions of dollars

	Projection								Total
	2010- 2011	2011- 2012	2012- 2013	2013- 2014	2014- 2015	2015- 2016	2016- 2017	2017- 2018	
Budget 2010									
Spending restraint	452	1,586	3,481	4,425	5,130	5,130	5,130	5,130	30,464
Closing tax loopholes	260	350	420	455	475	505	515	530	3,510
Total for Budget 2010	712	1,936	3,901	4,880	5,605	5,635	5,645	5,660	33,974
Budget 2011									
Spending restraint		194	271	569	525	534	534	534	3,161
Closing tax loopholes		255	750	1,115	1,060	1,010	1,135	440	5,765
Total for Budget 2011		449	1,021	1,684	1,585	1,544	1,669	974	8,926
Economic Action Plan 2012									
Spending restraint		-900	1,762	3,481	5,332	5,175	5,219	5,222	25,290
Closing tax loopholes			90	271	386	441	526	671	2,385
Total for Economic Action Plan 2012		-900	1,852	3,752	5,718	5,616	5,745	5,893	27,675
2012 Update of Economic and Fiscal Projections									
Spending restraint			341	572	791	999	1,231	1,436	5,370
Subtotal: Savings announced prior to Economic Action Plan 2013	712	1,485	7,115	10,888	13,698	13,794	14,290	13,962	75,945
Economic Action Plan 2013									
Spending restraint				68	114	145	145	145	617
CRA compliance programs			30	125	550	550	550	550	2,355
Tax fairness and closing tax loopholes			2	316	806	946	1,082	1,237	4,389
General Preferential Tariff					83	333	333	333	1,082
Total for Economic Action Plan 2013			32	509	1,554	1,974	2,110	2,265	8,443

- ფისკალური დაგეგმარების ჩარჩო

The Revenue Outlook

billions of dollars

	Projection						
	2011-12 ¹	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18
Income taxes							
Personal income tax	120.5	126.2	131.5	140.3	148.6	156.2	164.1
